ბრძანება:**ბ63. 6325220001**
თარიღი:**08/08/2025**

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 8 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 7 აგვისტოს N ბ63.6325219001 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნას ცვლილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 8 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 7 აგვისტოს Nბ63.6325219001 ბრძანებაში.

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 8 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 7 აგვისტოს N ბ63.6325219001 ბრძანება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 8 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26-ე მუხლის 2-ე პუნქტის ,,ა''- ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. მოწვეულ იქნას სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 2025 წლის **8 აგვისტოს** 11:00 საათზე. სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში, საკრებულოს სხდომათა დარბაზი; რესპუბლიკის ქ N6.

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის არჩევნებისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **სააგიტაციო მასალის გასაკრავი/ გამოსაფენი ადგილების** სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის,

საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის არჩევნებისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაციისათვის), სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ **შენობა-ნაგებობის გამოყოფის** შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

3. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

4. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის **ბიუჯეტის დაზუსტების** შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტი საკითხთა კომისიის თავმჯდომარის.მ/შ, გ.არველაძე/

5. **სხვადასხვა.**

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ.სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1) მისი გამოცემიდან 1 /ერთი/ თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი